საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე და მე-40 მუხლების შესაბამისად საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით უზენაეს სასამართლოში შემოსული განცხადებების ზოგადი სტატისტიკა

2021 წლის პირველ კვარტალში (იანვარი, თებერვალი, მარტი) უზენაეს სასამართლოში ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით შემოვიდა 228 განცხადება. ამათგან:

216 განცხადება დაკმაყოფილდა სრულად;

6 განცხადება არ დაკმაყოფილდა. 3 შემთხვევაში მოთხოვნილი ინფორმაცია სასამართლოების მოქმედი სტატისტიკური ანგარიშგების ფორმებით არ იყო გათვალისწინებული, ხოლო 3 შემთხვევაში მოთხოვნილი ინფორმაცია არ ინახებოდა უზენაეს სასამართლოში;

3 განცხადება დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. აქედან ერთი, დანარჩენ ნაწილში მოთხოვნილი საკითხის გადასაწყვეტად, გადაეგზავნა შესაბამის უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოს, ხოლო 2 შემთხვევაში მოთხოვნილი ინფორმაციის ნაწილი არ ინახებოდა უზენაეს სასამართლოში;

3 განაცხადი ქვემდებარეობის მიხედვით, მოთხოვნილი საკითხის გადასაწყვეტად, გადაეგზავნა შესაბამის უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოს;

არც ერთი უარი არ გასაჩივრებულა და არ შემოსულა გაგზავნილ ინფორმაციაზე შესწორების შესახებ მოთხოვნა.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე და მე-40 მუხლების შესაბამისად საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით უზენაეს სასამართლოში შემოსული განცხადებების ზოგადი სტატისტიკა

2021 წლის მეორე კვარტალში (აპრილი, მაისი, ივნისი) უზენაეს სასამართლოში ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით შემოვიდა 319 განცხადება. ამათგან:

307 განცხადება დაკმაყოფილდა სრულად;

4 განცხადება დაკმაყოფილდა ნაწილობრივ;

8 განცხადებით მოთხოვნილი ინფორმაცია არ დაკმაყოფილდა კანონის საფუძველზე;

არც ერთი უარი არ გასაჩივრებულა და არ შემოსულა გაგზავნილ ინფორმაციაზე შესწორების შესახებ მოთხოვნა;

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე და მე-40 მუხლების შესაბამისად საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით უზენაეს სასამართლოში შემოსული განცხადებების ზოგადი სტატისტიკა

2021 წლის მესამე კვარტალში (ივლისი, აგვისტო, სექტემბერი) უზენაეს სასამართლოში ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით შემოვიდა 162 განცხადება. ამათგან:

157 განცხადება დაკმაყოფილდა სრულად;

1 განცხადება დაკმაყოფილდა ნაწილობრივ;

1 განცხადება ქვემდებარეობის მიხედვით, მოთხოვნილი საკითხის გადასაწყვეტად, გადაეგზავნა შესაბამის უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოს;

3 განცხადებაზე მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, განმცხადებელს დაუდგინდა ხარვეზი და დაევალა შესაბამისი მინდობილობის წარმოდგენა.

არც ერთი უარი არ გასაჩივრებულა და არ შემოსულა გაგზავნილ ინფორმაციაზე შესწორების შესახებ მოთხოვნა;

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე და მე-40 მუხლების შესაბამისად, საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით უზენაეს სასამართლოში შემოსული განცხადებების ზოგადი სტატისტიკა

2021 წლის მეოთხე კვარტალში (ოქტომბერი, ნოემბერი, დეკემბერი) უზენაეს სასამართლოში ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით შემოვიდა 214 განაცხადი. ამათგან:

სრულად დაკმაყოფილდა 190 განაცხადი;

ნაწილობრივ დაკმაყოფილდა 4 განაცხადი. აქედან, 1 ნაწილობრივ არ დაკმაყოფილდა კანონის საფუძველზე; 1 - ნაწილობრივ არ დაკმაყოფილდა, ვინაიდან მოთხოვნილი ინფორმაციის ნაწილი სასამართლოების მოქმედი სტატისტიკური ანგარიშგების ფორმებით არ იყო გათვალისწინებული, ხოლო, 2 შემთხვევაში მოთხოვნილ ინფორმაციაზე პასუხის გაცემა მიეკუთვნებოდა სხვა ადმინისტრაციულ ორგანოს, შესაბამისად, განაცხადი გადაიგზავნა უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოში.

არ დაკმაყოფილდა 15 განაცხადი. აქედან, 8 შემთხვევაში მოთხოვნილი ინფორმაცია სასამართლოების მოქმედი სტატისტიკური ანგარიშგების ფორმებით არ იყო გათვალისწინებული, ხოლო 7 შემთხვევაში - არ დაკმაყოფილდა კანონის საფუძველზე;

ქვემდებარეობის მიხედვით 5 განაცხადი მოთხოვნილი საკითხის გადასაწყვეტად გადაეგზავნა შესაბამის უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოს.

საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის გადაწყვეტილება გასაჩივრდა მხოლოდ ერთ შემთხვევაში. საჩივარი არ დაკმაყოფილდა.